

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ანგარიში

სექტემბერი 2013 - დეკემბერი 2014

პატივცემულო კოლეგებო, წარმოგიდგენთ ანგარიშს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ: 2012 წლის 15 ნოემბრის ბრძანებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დაამტკიცა გენდერული თანასწორობის საბჭოს ახალი შემადგენლობა. საბჭოში შედიან უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები, დაცულია გენდერული ბალანსი. შემადგენლობა შემდეგია:

1. კობახიძე მანანა - საბჭოს თავმჯდომარე
2. აგულაშვილი გიგლა
3. ბაქრაძე დავით
4. ბესელია ეკა
5. ბოკუჩავა თინათინ
6. გოზალიშვილი გიორგი
7. დოლიძე ვიქტორ
8. მადრაძე გუგული
9. საჯაია მარიამ
10. სესიაშვილი ირაკლი
11. ყვინიშვილი ნანა
12. ცაგარეიშვილი გიორგი

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მნიშვნელოვანი საქმიანობები და ღონისძიებები

„საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა“

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 „ა“ პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ გაეროს ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით მოამზადა დადგენილების პროექტი „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესახებ. რომელიც დამტკიცდა 2014 წლის 24 იანვარს.

გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა ყველა სამინისტროს წარმომადგენლები, ცენტრალური საარჩევნო კომისია, საზოგადოებრივი მაუწყებელი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

გეგმის პროექტი წარედგინა გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე საერაშორისო და დონორი ორგანიზაციების თემატურ ჯგუფს და გენდერულ თანასწორობასა და ქალთა უფლებებზე მომუშავე ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ექსპერტებს. შეხვედრების დროს გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა სამოქმედო გეგმაში.

გეგმა მოიცავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის განსახორციელებელ ღონისძიებებს რვა ძირითად სფეროში, რომლებიც შეესაბამება 1995 წელს პეკინში მიღებული სამოქმედო პლატფორმის მოთხოვნებს:

1. გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა
2. განათლება და ცნობიერების ამაღლება
3. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ეკონომიკის სფეროში
4. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო
5. ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა
6. ქალი და პოლიტიკა
7. გარემოს დაცვის სფერო
8. სამართალდაცვისა და სასჯელაღსრულების სფერო

2014 წლის 24 ნოემბერს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები სამინისტროების წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებმაც წარმოადგინეს „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიშები. შეხვედრაზე სამინისტროების წარმომადგენლებმა ისაუბრეს 2014 წლის თებერვლიდან დღემდე თავიანთ უწყებებში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ და იმ პრობლემებსა თუ გამოწვევებზე, რაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა. შეხვედრა დისკუსიის ფორმატში მიმდინარეობდა.

გაეროს უშიშროების საბჭოს №№ 1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012-2015 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმა და შუალედური შეფასების დოკუმენტი

2011 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№ 1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელ 2012-2015 წლების ეროვნულ

სამოქმედო გეგმაზე“. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), ნორვეგიის მთავრობის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისთვის“ ფარგლებში, ტექნიკურ დახმარებას უწევს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინირებაზე. პროექტის ერთ-ერთი მიზანია სამთავრობო სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის მიზნით, რასაც წარმატებით ახორციელებს სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურასთან, მათ შორის პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, ერთად.

2012 წელს შეიქმნა გეგმის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფი. ამ ჯგუფში წარმოდგენილია 20-მდე სამთავრობო უწყება, რომლებსაც გარკვეული ვალდებულებები აკისრიათ. ჯგუფი კვარტალურად იკრიბება პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მოწვევით და მსჯელობს გეგმის განხორციელების პროგრესზე და არსებულ ხარვეზებზე. ჯგუფში შედიან ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც და როტაციის პრინციპით იწვევენ წარმომადგენელს კონფლიქტური ზონების მიმდებარე რეგიონიდან, რათა წარმოადგინოს თემის საჭიროებები და ხედვა გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით.

გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური დახმარებით დაიგეგმა ეროვნული გეგმის შესრულების შუალედური შეფასება. შეფასება მიზნად ისახავდა სამოქმედო გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევის და დაგეგმილი საქმიანობების ინდიკატორების შესაბამისად განხორციელების შეფასებას, სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებას, ძირითადი მიღწევების და გამოწვევების ანალიზს და მასზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავებას გეგმის მეორე ფაზისთვის, 2015 წელს მისი დასრულების შემდეგ. პროექტის შეფასება განხორციელდა ადგილობრივი კონსულტანტის დახმარებით 2014 წლის 1 აპრილიდან 5 ივლისის ჩათვლით პერიოდში. შეფასება მოიცავს 2012 წლის იანვრიდან 2014 წლის მარტის ჩათვლით პერიოდს. ანგარიშში წარმოდგენილია ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შეფასების შედეგები და რეკომენდაციები.

2014 წლის 21 ივლისს საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრაზე, ადგილობრივმა კონსულტანტმა, რომელიც ატარებდა ზემოთხსენებულ კვლევას, გააკეთა 1325 ეროვნული გეგმის შესრულების შუალედური შეფასების წინასწარი შედეგების პრეზენტაცია, გაიმართა დისკუსია კვლევის შედეგებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის. ყველა გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით

შემუშვდა საბოლოო დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შეფასების შედეგები და რეკომენდაციები.

2014 წლის 23 ოქტომბერს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაიმართა ღია კარის დღე, რომელიც მიეძღვნა ქალებს, მშვიდობასა და უსაფრთხოების საკითხებს და სწორედ ამ ღონისძიებაზე ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2012-2015 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შუალედური შეფასების ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები წარმოადგინა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური დახმარებით 2013-2014 წლებში პერიოდულად იმართებოდა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე 2012-2015 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრები, სადაც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ეცნობოდა ანგარიშებს წარმოდგენილი უწყებებიდან გეგმის მიხედვით განხორციელებულ საქმიანობაზე. 2014 წლის 29 დეკემბერს გაიმართა წლიური შემაჯამებელი შეხვედრა, რომელსაც ასევე ესწრებოდა პრემიერ-მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში - სოფიო ჯაფარიძე. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 2015 წლიდან ამ გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლება იქნება. საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო კვლავაც აქტიურად ითანამშრომლებს აღნიშნულ ჯგუფთან.

საქართველოს პარლამენტის გენდერული აუდიტი

ყველა სფეროში გენდერული საკითხების ინტეგრირების (მეინსტრიმინგის) მიზნით ტექნიკური დახმარების კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ასევე, საქართველოს მიერ გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების სფეროში საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად გაეროს ქალთა ორგანიზაციამ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, საქართველოში 2012 წლის ნოემბერში დანერგა „თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის“ (PGA) მეთოდოლოგია და გადაწყვიტა, რომ საქართველოს პარლამენტში განხორციელებულიყო თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი.

საქართველოს პარლამენტმა და პარლამენტში არსებულმა გენდერული თანასწორობის საბჭომ ამგვარი აუდიტის განხორციელების კეთილი ნება გამოხატეს, რაც გადამწყვეტი

ფაქტორია თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტის წარმატებული შედეგების მისაღწევად. გენდერული აუდიტის შესრულებისთვის შემოთავაზებული ინიციატივის მიზანია, წვლილი შეიტანოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭოს პოზიციის გაძლიერებასა და მუშაობაში, ამასთანავე, გენდერული თანასწორობის საბჭო აქტიურად ჩაერთოს მთავრობის აღმასრულებელ შტოებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტერაქციაში.

თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი ერთი საერთაშორისო და ორი ადგილობრივი კონსულტანტის მიერ დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ ჩატარდა.

მიუხედავად გამოწვევებისა, ჯგუფმა შეძლო შესაბამისი მოქნილობითა და სირთულეებისათვის სიტუაციის მორგებით პროცესის ბოლომდე მიყვანა, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

2014 წლის დასაწყისში გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა წერილი გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისიდან, რომლითაც გვეცნობა, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 12 წელს 2014 წლის 31 დეკემბერს უმთავრდებოდა წევრობის ვადა. აღნიშნულ ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევნები დაგეგმილი იყო 2014 წლის 26 ივნისს, ქ. ნიუ-იორკში. წერილის მიღებისთანავე გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით დაიგზავნა ინფორმაცია საქართველოში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის იმ ნაწილთან, რომლებიც მუშობენ გენდერული თანასწორობისა და ქალთა საკითხებზე. ასევე მოთხოვნილი იყო ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას დაესახელებინა ამ ვაკანტური თანამდებობისათვის შესაფერისი პიროვნება. განვითარებული კომუნიკაციის შედეგად გამოიკვეთა 3 კანდიდატურა, რომლის განხილვაც მოხდა გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი კანდიდატურებიდან სამუშო გამოცდილების, მიმართულების, ნაშრომების, პუბლიკაციებისა და სხვა თვისებებიდან გამომდინარე ვაკანტურ თანამდებობაზე წარსადგენად შეარჩიეს სამხრეთ კავკასიის ქალთა კონგრესის თავმჯდომარე, კავკასიის ფემინისტური ინიციატივის პრეზიდენტი, ლიკა ნადარაია. 2014 წლის 26 ივნისს საქართველოს მიერ დასახელებული კანდიდატურა არჩეულ იქნა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წევრად ოთხი წლის ვადით.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 58-ე სესია

2012 წლის 26 ივნისს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-18 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში წარადგინა კონვენციის შესრულების გაერთიანებული მეოთხე და მეხუთე ანგარიში. 2014 წლის 17 იანვარს, კომიტეტს მიეწოდა დამატებითი ინფორმაცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც კომიტეტის მიერ იქნა იდენტიფიცირებული ანგარიშის წინასწარი განხილვის შედეგად.

2014 წლის 8 ივლისს ქ. ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 58-ე სესიის ფარგლებში გაიმართა საქართველოს ანგარიშის განხილვა. აღნიშნულ განხილვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლების, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების და მინისტრების მოადგილეებისაგან. ვინაიდან ანგარიშის მომზადებას კოორდინირებდა გენდერული თანასწორობის საბჭო, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მანანა კობახიძე. სხდომის დასაწყისში დელეგაციის ხელმძღვანელმა გააკეთა 30 წუთიანი მოხსენება რომელშიც ისაუბრა ანგარიშის წარდგენის შემდგომ განვითარებული სიახლეების შესახებ. შემდგომ დაისვა შეკითხვები კომიტეტის წევრების მხრიდან.

აღნიშნული განხილვის შედეგად გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა შეიმუშავა შემაჯამებელი ანგარიში (concluding observations), რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობის მიმართ ქალთა უფლებების დაცვის კუთხით კონკრეტული საკითხების თაობაზე. აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდგომი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

პეკინი +20

2014 წლის მაისში გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელობითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით, მომზადდა და მიეწოდა გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს პეკინი +20 მიმოხილვის ანგარიში, რომელშიც განხილულია პეკინის პლატფორმის განხორციელების ანგარიში მიღებიდან (1995 წლიდან) დღემდე. ანგარიშის განხილვა ქ. ჟენევაში 2014 წლის 6-7 ნოემბერს მიმდინარეობდა. გენდერული

თანასწორობის საბჭოდან საქართველოს დელეგაციის წევრი იყო ქ-ნი გუგული მადრამე. შეხვედრაში მონაწილეობდა 56 ქვეყნის 670 მონაწილე სამთავრობო უწყებებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. განხილვის თემა იყო პროგრესი, რომელიც იქნა მიღწეული გენდერული თანასწორობის მხრივ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში პეკინის რეზოლუციის შემდეგ. კერძოდ: ქალთა უფლებების დღის წესრიგის დანერგვა ეფექტური ანგარიშვალდებულების და მონიტორინგის მექანიზმების გამოყენებით; გოგონათა და ქალთა უფლებების მიზნების 2015 წლის დღის წესრიგი; თანასწორი წვდომა ყოველგვარი რესურსებისადმი; ინვესტიციები ქალთა და გოგონათა უფლებების განხორციელებაში, მათ შორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში; ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა, ადრეული და იძულებითი ქორწინების პრევენცია; ქალები შრომის ბაზარზე; თანაბარი მონაწილეობა ეკონომიკაში, ქალთა და გოგონათა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში; გენდერული კვოტების საკანონმდებლო უზრუნველყოფა; სტამბულის კონვენციის რატიფიცირება.

2014 წლის 24 თებერვალს საბჭოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში, რომელიც ორგანიზებული იყო საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ მიერ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) დაფინანსებით და ეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ხელმისაწვდომობას პოლიტიკასა და საარჩევნო პროცესებში. კონფერენციაზე განიხილებოდა შემდეგი საკითხები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პოლიტიკური უფლებები, ხმის მიცემის უფლება, ადაპტირებული არჩევნები, პროცესში მონაწილეობის ბარიერები და სხვა.

გენდერული თანასწორობის საბჭომ **2014 წლის 6 მარტს**, გენდერული კვირეულის ფარგლებში მოაწყო შეხვედრა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს წევრ ქალბატონებთან. შეხვედრა შედგა ქ. ქუთაისში პარლამენტის შენობაში. შეხვედრას დაესწრო პარლამენტის თავმჯდომარეც.

შეხვედრაზე განიხილეს პარლამენტის მიერ დამტკიცებული "საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014 – 2016 წლების სამოქმედო გეგმა" და აღნიშნული მიმართულებით აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან თანამშრომლობის საკითხები. ისაუბრეს იმაზე, თუ რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას და რა შეიძლება გაკეთდეს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის დამკვიდრების მიზნით. ითქვა, რომ უფრო მეტად ეფექტური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს არა მარტო საქართველოს პარლამენტის დონეზე, არამედ ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი ორგანოების დონეზეც. აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრ

ქალბატონებს აქვთ იმის მოტივაცია, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დონეზე შესაბამისი აქტივობებით დაიგეგმოს და განხორციელდეს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საკითხი, მხარდაჭერილი იყოს ქალთა ხელშეწყობა ეკონომიკის სფეროში, სოფლის მეურნეობაში, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ჯანდაცვის სერვისები და ა.შ. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა სამოქმედო გეგმაში ძირითადად გაწერილია რვა მიმართულება, რომელიც იქნება გარკვეული სახელმძღვანელო, რათა ადგილებზეც შეიქმნას შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე იმოქმედებს და ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის განხორციელებას.

2014 წლის 7 მარტს გენდერული კვიერების ფარგლებში გენდერულმა საბჭომ მონაწილეობა მიიღო გენდერული თანასწორობისთვის ჯილოდოს გადაცემის ცერემონიაში, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამამ ჩაატარა. საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით და გაეროს განვითარების პროგრამასთან შეთანხმებით ყოველწლიურ ჯილოდოს 2015 წლიდან გენდერული საბჭო ჩაუდგება სათავეში.

2014 წლის 8 მარტს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებში დასაქმებული ქალებისთვის მიღება გამართა. 70 ოფიცერ ქალს დღესასწაული პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, მანანა კობახიძემ, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა, გენდერული თანასწორობის საბჭოს სხვა წევრებმა მიულოცეს და ქალბატონებს მშვიდობა და პირად და პროფესიულ საქმიანობაში წარმატება უსურვეს.

2014 წლის 15 მაისს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები შეუერთდნენ აქციას „ხმა მიეცით ქალებს... ჩვენ გვჭირდება ქალები პოლიტიკაში“, რომლის ორგანიზატორი იყო ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის. აქციის ფარგლებში გავრცელდა მიმართვა, რომლის მთავარი მესიჯი იყო კანდიდატი ქალებისა და კაცების თანასწორი მონაწილეობა, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში არ მომხდარიყო ქალი კანდიდატების მიმართ საარჩევნო კამპანიისათვის ხელის შეშლა სქესის ნიშნით ან სხვა რაიმე ტიპის დისკრიმინაცია და უფლებების შელახვა; საჯარო გამოსვლებსა თუ მედია საშუალებებში შეურაცხმყოფელი გამონათქვამების და სექსისტური ენის გამოყენება. მიმართვის გავრცელების შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე თანასწორობის ხეივანის გახსნაში და ხეების დარგვაში ჟურნალისტებთან ერთად

მონაწილეობა მიიღეს დეკლარაციებში, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, ქუთაისის მერიისა და საკრებულოს წევრებმა.

2014 წლის 27 მაისს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე დაესწრო შეხვედრას „ადრეული ქორწინების პრევენცია საქართველოში გენდერული თანასწორობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის“, რომელიც ჩატარდა საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მიერ გაეროს გენდერის თემატურ ჯგუფთან პარტნიორობით. ადრეული ქორწინების საკითხი აქტუალური გახდა ბოლო წლებში; ეს თემა აისახა 2012-2013 წლებში სახალხო დამცველის ანგარიშებშიც. გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ადრეული ქორწინების შესახებ ჩატარდა სიტუაციური ანალიზი, გამოიკვეთა პრობლემები და შემუშავდა რეკომენდაციები. შეხვედრაზე პრობლემის შესახებ ისაუბრეს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ, საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, საქართველოში გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა ნილს სკოტმა, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლელა ბაქრაძემ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მოადგილემ რატი ბრეგაძემ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა, საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ამ შეხვედრის მიზანი იყო საკითხით დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობა, რათა სრულად წარმოჩინებულიყო პრობლემის არსი, მიზეზები და შედეგები; შემუშავდა რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებით, მოსახლეობის გაცნობიერებისა და დამოკიდებულების შეცვლისათვის ამ მოვლენის მიმართ.

2014 წლის 14 -28 სექტემბერს ჩინეთის ქალთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით „ქალი და განვითარება“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური პარტიებისა და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ჩინეთის ელჩის მოწვევით საქართველოდან ამ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ. მან კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა თემაზე: „საქართველოში ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის ტენდენციები“. ასევე, ეკა ბესელიამ ისაუბრა საქართველოს როლზე „აბრეშუმის გზის“ პროექტში.

ჩინეთის ქალაქ სიანში გაიმართა საერთაშორისო ქალთა ფორუმი თემაზე: „აბრეშუმის გზის“ პროექტში ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობა, რომელშიც 7 ქვეყანა მონაწილეობდა. საერთაშორისო ფორუმის მონაწილე 7 ქვეყნის დელეგაციას ეკა ბესელია ხელმძღვანელობდა. დასკვნითი შეხვედრა ჩინეთის პედაგოგიურ უნივერსიტეტში შედგა,

სადაც დამსწრეთ შემაჯამებელი სიტყვით მიმართეს: დელეგაციის სახელით, ეკა ბესელიამ და უნივერსიტეტის რექტორმა, ჩინეთის ქალთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა. მხარეებმა მადლიერება გამოთქვეს ფორუმში წარმატებული მონაწილეობისთვის და ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. საერთაშორისო ფორუმი ქალაქ სიანის ხელმძღვანელთან შეხვედრით და საზეიმო მიღებით დასრულდა. მიღებას ჩინეთის ქალთა საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ. საერთაშორისო ფორუმის დასასრულს საზეიმო მიღებაზე დელეგაციის სახელით სიტყვით ეკა ბესელია გამოვიდა. მან ისაუბრა საქართველოს როლზე „აბრეშუმის გზის“ პროექტში ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობის ფაქტორებზე და მომავლის პერსპექტივებზე.

2014 წლის 14 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომლითაც ეხმაურებოდა და შეშფოთებას გამოთქვამდა ბოლო პერიოდში ქვეყანაში ჩადენილი ქალთა მკვლევლობების და მათ მიმართ ძალადობის ფაქტების გამო. საბჭომ მოუწოდა ყველა შესაბამის ორგანოს პრევენციული ღონისძიებების გაძლიერებისაკენ და გამოხატა მზადყოფნა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ზემოაღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ეფექტიანი და კომპლექსური ღონისძიებების შემუშავების მიზნით.

17-დან 21 ნოემბრის ჩათვლით საქართველოს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ესპანეთში. აღნიშნული ვიზიტი მიზნად ისახავდა ესპანეთის გამოცდილების გაცნობას ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. ვიზიტი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ორგანიზებით გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში გაიმართა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი გუგული მადრაძე. შეხვედრა გაიმართა ესპანეთის პარლამენტის გენდერული თანასწორობის კომისიის თავმჯდომარე კარმენ კუინტანილასთან, რომელმაც დელეგაციის წევრებს გააცნო ესპანეთის პარლამენტის მიერ გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთისათვის განხორციელებული საქმიანობა. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები გაეცნენ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სპეციალიზებული სასამართლოებისა და პროკურორების პრაქტიკას, ამ საკითხებზე მუშაობის უწყებათაშორისი კოორდინაციის გამოცდილებას ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში და მუნიციპალურ დონეზე (მადრიდის და სევილიის მუნიციპალიტეტებში), აგრეთვე მსხვერპლთათვის სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებულ სოციალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური

დახმარების პროგრამებს. გამახვილდა ყურადღება აგრეთვე მოძალედებთან მუშაობის ეფექტურ პრაქტიკაზე და სპეციალიზებული პოლიციის დანაყოფების როლზე ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის დასაძლევად.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ 16 დღიანი საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ აქციებში.

2014 წლის 13 ნოემბერს ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებისა და ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის, ბათუმის საკრებულოსთან არსებული გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს წევრების შეხვედრა (საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან საკრებულოს წევრები; სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების, მედიის წარმომადგენლები). ღონისძიების ორგანიზატორი იყო ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“. შეხვედრა ჩატარდა გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Woman) და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მხარდაჭერილი პროექტების ფარგლებში, რომელთა მიზანია ადგილებზე გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობის ინსტიტუციონალური მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა, ქალთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის, პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესება. შეხვედრაზე თითოეული ოთხი ქალაქის საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენლებმა გააკეთეს მათი საქმიანობის მოკლე პრეზენტაცია. ისაუბრეს თავიანთ გამოცდილებაზე, დადებით და უარყოფით მხარეებზე, მიიღეს რეკომენდაციები გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისაგან. შეხვედრის მიზანი იყო ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა, კოორდინაციის გაუმჯობესება პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ადგილობრივ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოებს შორის.

2014 წლის 25 ნოემბერს სასტუმრო ჰოლიდეი ინში ჩატარდა მაღალი დონის შეხვედრა ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, რომლის ორგანიზატორი იყო გაეროს ქალთა ორგანიზაცია. შეხვედრაზე მოხდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის გლობალური კამპანიის HeforShe (კაცების სოლიდარობის მოძრაობა გენდერული თანასწორობისთვის) ფორმალური გახსნა; შემდეგ მაღალი დონის პოლიტიკური ნების მნიშვნელობაზე ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის დაძლევის და გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის ისაუბრეს საქართველოს

პარლამენტის თავმჯდომარემ, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, ამერიკისა და შვედეთის ელჩებმა საქართველოში, გაეროს მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში. საქართველოს პრემიერ მინისტრის თანაშემწემ ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში - სოფიო ჯაფარიძემ გააკეთა პრეზენტაცია გაწეული საქმიანობების შესახებ, ასევე მოკლევადიან და გრძელვადიან სამომავლო გეგმებზე ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად. შეხვედრის დასასრულს გაკეთდა მოკლე განცხადებები საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ პრიორიტეტებზე ქალთა და გოგონათა ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის კუთხით.

2014 წლის 9 დეკემბერს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა კონფერენცია „გავიმარჯვოთ ქალებთან ერთად“. კონფერენცია ორგანიზებული იყო ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, შვედეთის ელჩი საქართველოში მარტინა ქუიქი, გენდერული საბჭოს თავმჯდომარე მანანა კობახიძე. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები მონაწილეობას იღებდნენ კონფერენციაზე გამართულ დისკუსიებში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე. კონფერენციაზე მიმდინარეობდა საკანონმდებლო კვოტების შესახებ სამუშაო ჯგუფის ინიციატივის განხილვა, პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა წარმოადგინეს ინფორმაცია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმართულებით საქმიანობისა და გეგმების შესახებ.

2014 წლის 9 დეკემბერს პროექტის „ქალებს შეუძლიათ მართონ ქვეყანა: ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად“ ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა გენდერული ბიუჯეტის ფორმირებაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები, ფინანსთა მინისტრი, კახეთისა და სამეგრელოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილული იქნა გენდერული ბიუჯეტირების პრინციპების გათვალისწინების საჭიროება და სისტემური დანერგვის გზები. წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტებში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებები და მათი განზოგადების შესაძლებლობები.

გენდერული თანასწორობის საბჭო 2014 წლის დასაწყისიდან ჩართული იყო ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM -ის მიერ გამართულ სამუშაო შეხვედრებში, რომელიც ეხებოდა ქალთა პოლიტიკურ

მონაწილეობას საქართველოში. შეხვედრების მთავარი თემა იყო სპეციალური ზომები და ღონისძიებები, რომელთა გატარებაც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით იგეგმებოდა. მიმდინარეობდა მუშობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებისათვის განსახორციელებელ საქმიანობაზე, სამუშაო ჯგუფმა „ ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებისათვის “ ქალთა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით და მოწვეული ექსპერტის დახმარებით შეიმუშავა „გენდერული თანასწორობის კანონში“ შესატანი ცვლილებათა პაკეტი. აღნიშნული ცვლილებათა პაკეტი განხილული იყო და 2014 წლის 10 ნოემბრის შეხვედრაზე. გენდერული თანასწორობის საბჭო წარმოადგენს აღნიშნულ კანონპროექტს საბოლოო შეჯერებული ვერსიის განხილვისთანავე.

საბჭოს წევრების უნარ-ჩვევების ამაღლება

2013 წლის 9 – 13 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები იმყოფებოდნენ ხორვატიაში. ვიზიტი იყო სასწავლო ტურის ფარგლებში და ემსახურებოდა ძირითადად ქართველ და ხორვატ პარლამენტარებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას და ინფორმაციის გაცვლას გენდერული თანასწორობის დაცვის მექანიზმებზე პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საქმიანობაში. ასევე, ხორვატიის პარლამენტისა და მთავრობის წევრებმა ქართველ კოლეგებს გაუზიარეს ის მნიშვნელოვანი ცოდნა და გამოცდილება რაც ევროკავშირთან ინტეგრაციის მოსამზადებელ პროცესში შეიძინეს.

საინტერესო აღმოჩნდა მათი სამთავრობო სტრუქტურები, არა მარტო გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, არამედ სოციალური დაცულობის და დასაქმების პრობლემების გადაჭრის კუთხითაც.

ქართული დელეგაციის შემადგენლობა: მანანა კობახიძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; პარლამენტის წევრები: გუგული მადრაძე, ვიქტორ დოლიძე, გიორგი ცაგარეიშვილი, ეკა ბესელია, ნანა ყეინიშვილი, ირაკლი სესიაშვილი. გენდერული თანასწორობის საბჭოს კოორდინატორი შორენა ბზიავა. UNDP საქართველოს ოფისის თანამშრომლები: ქეთევან მახარაშვილი, ნათია ნაცვლიშვილი, მაკა გვრიტიშვილი.

ვიზიტის მიზანი იყო ქართველი კანონმდებლებისათვის გაეცნო სამართლებრივი ჩარჩოები და ინსტიტუციები, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობის საკითხებზე ხორვატიაში, ასევე პროგრამები და მიღწევები რომელსაც სახელმწიფო

იყენებს გენდერული ბალანსის დასაცავად პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ვიზიტის დროს გაზიარებული ცოდნა და გამოცდილება აუცილებლად დაეხმარება საქართველოს გენდერული პოლიტიკის გატარებაში. ასევე ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველოსა და ხორვატიის პარლამენტართა პარტნიორობას.

სასწავლო ტურის ორგანიზატორი და დამფინანსებელი იყო გაეროს ერთობლივი პროგრამა (UNDP).

2014 წლის ზაფხულში გაეროს განვითარების პროექტის ორგანიზებით მომზადდა 3 დღიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც ეხებოდა გენდერული ბიუჯეტირების საკითხებს. ტრენინგი გენდერულ ბიუჯეტირებაზე გაიარეს როგორც პარლამენტის გენდერული საბჭოს წევრებმა, ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებმა და საბიუჯეტო ოფისის თანამშრომლებმა.

ტრენინგზე მიღებული გამოცდილებისა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა მოამზადა დოკუმენტი სადაც მოცემულია ოფისის მოსაზრებები და რეკომენდაციები საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის გენდერული ანალიზის შესახებ.

საკანონმდებლო ინიციატივები

2014 წლის ოქტომბერში ცვლილებები შევიდა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში. ამ ცვლილებების ინიციატორი იყო საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი გუგული მალრაძე. ცვლილებები მიზნად ისახავს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციის თაობაზე“ ევროსაბჭოს კონვენციის პრინციპებისა და იმ ცალკეული ნორმების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა, რასაც არ ითვალისწინებდა საქართველოს კანონმდებლობა, რათა საქართველოს მიერ აღნიშნული კონვენციის რატიფიცირების პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციის მოთხოვნებთან.

საქართველოს კანონს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ დაემატა ნორმები, რომლის მიხედვითაც დამატებით განისაზღვრა ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის უფლებები და მათი დაცვის გარანტიები. კერძოდ, კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, განისაზღვრა

ძალადობის ახალი ფორმა უგულვებელყოფა, რომელიც ეხება ბავშვების მიმართ მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობას. მსხვერპლს მიენიჭა უფლებამოსილება მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით; ასევე კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენსაცია, თუ მასზე მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება მსხვერპლის მომსახურებისა და დაცვისათვის აღნიშნული კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები შევიდა შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

- საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“
- საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“
- პატიმრობის კოდექსი
- საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი